

საქართველო აფორმებს ხელშეკრულებას Dongfang Electric -თან ნახშირზე მომუშავე სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით

მარგარიტა ანთიძე

თბილისი, 16 ოქტომბერი Oct 16 (Reuters) - საქართველომ Dongfang Electric Corporation-თან გააფორმა შეთანხმება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში, ქვანახშირზე მომუშავე, 150 მეგავატი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობას.

კორპორაცია „Dongfang Electric Corporation“- მა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციასთან“ ზემოაღნიშნული პროექტის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის ღირებულება შეფასდა 180-200 მილიონი აშშ დოლარით.

Dongfang ასევე შეუძლია განახორციელოს სხვა ინვესტიციები საქართველოში, განაცხადა კომპანიის ვიცე პრეზიდენტმა პარასკევს.

“ჩვენ განვიხილავთ გაფართოების შესაძლებლობას საქართველოში, კერძოდ აღნიშნული თბოელექტროსადგურის მომდევნო ფაზაში. ასევე ვგეგმავთ ინვესტიციების ჩადებას ჰიდროელექტროსადგურებში”, განუცხადა Dongfang Electric Corporation-ის ვიცე პრეზიდენტმა ლან ზე ჰაიმ Reuters-ს.

აღნიშნული სადგური დაეხმარება საქართველოს დააკმაყოფილოს ელექტროენერგიაზე მოთხოვნა ზამთარში და განახორციელოს ელექტროენერჯის ექსპორტი თურქეთში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული გადამცემი ხაზის მეშვეობით.

ახალი სადგური უნდა აშენდეს დასავლეთ საქართველოში ქალაქ ტყიბულში, სადაც მდებარეობს ნახშირის მალაროები. მშენებლობის დაწყება დაგეგმილია 2016 წლის აგვისტოში.

“ჩვენი მოლოდინით ახალი სადგური ექსპლუატაციაში შევა 2020 წლის დასაწყისში”, განაცხადა ზურაბ გელენიძემ, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის ფინანსურმა დირექტორმა. მისივე თქმით, პროექტთან დაკავშირებით ინვესტიციების მოზიდვა ძირითადად ჩინეთის ფინანსური დაწესებულებებიდან განხორციელდება.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ილია ბეროშვილმა ხუთშაბათს Reuters-ს განუცხადა, რომ საქართველო მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში გეგმავს მოიზიდოს დაახლოებით 8 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციას საქართველოს ენერჯო სექტორში, მათ შორის ჰიდრო, ნახშირზე და ბუნებრივ აირზე მომუშავე ელექტროსადგურების მშენებლობაში.

თბილისში დაფუძნებულმა პირდაპირი ინვესტიციების “საქართველოს თანაინვესტირების ფონდმა”, რომლის სახსრები შეადგენს 6 მილიარდ აშშ დოლარს, ამ კვირაში გამოაცხადა, რომ გეგმავს 673 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელებას ახალი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობაში.

საქართველო ელექტროენერჯის 80 პროცენტზე მეტს გამოიმუშავებს ჰიდროელექტრო სადგურებით. ზამთრის პერიოდში საქართველო ელექტროენერგიაზე მოთხოვნების 7%-ის იმპორტს ახორციელებს მეზობელი რუსეთიდან და გაზაფხულ-ზაფხულში ექსპორტზე გააქვს რუსეთსა და თურქეთში.